შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის ანგარიში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
2024 წელი

სარჩევი

შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის მომზადების საფუძვლები 3
შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები და ამოცანები 3
აუდიტორული საქმიანობის ძირითადი შედეგები..... 3
კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები 6

შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის მომზადების საფუძვლები

შიდა აუდიტის სამსახურის წლიური ანგარიშის მომზადების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონი. კანონის შესაბამისად წლიური ანგარიშის წარდგინება ხდება მომდევევნო წლის იანვრის ბოლომდე.

სამსახურის წლიური ანგარიში ეფუძნება 2023 წლის განსაზღვრულ მიმართულებებს, აქტივობებს, რისკ-ფაქტორების შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმილი წლისათვის განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და შიდა აუდიტის სუბიექტის განკარგულებაში არსებულ რესურსებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიზნები და ამოცანები

რისკზე ორიენტირებული მიდგომით განახორციელებს მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმინობას. ამგვარად, შიდა აუდიტი ხელს შეუწყობს მერიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, აფასებს რა:

- მერიის პოლიტიკისა და პროცედურების შესრულებას, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და დადგენილი სტანდარტების დაცვას;
- რესურსების პროდუქტიულად, ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენებას;
- ამოცანების შესრულებასა და დასახული მიზნების მიღწევას.

აუდიტორული საქმიანობის ძირითადი შედეგები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიზანს წარმოადგენდა გეგმით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებების ჩატარება.

2023 წელს სამსახურის მიერ ჩატარდა 3 აუდიტორული შემოწმება, რომლის სახე იყო ეფექტიანობის, შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი (კომბინირებული). აუდიტის ობიექტს წარმოადგენდა ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა"; შპს სამტრედიის „მაცნე" და ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი".

შემოწმების დასრულების შემდეგ ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლას" გაეგზავნა შესასრულებელი 12 რეკომენდაცია, შპს სამტრედიის „მაცნეს" 5 რეკომენდაცია და ა(ა)პი სამტრედიის საჭიდაო კლუბი „ფალავანს" 5 რეკომენდაცია.

გამოვლინდა მიგნებები და გაიცა რეკომენდაციები:

მიგნებები:

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა დაწესებულების განსახორციელებელი საქმიანობის, მიზნებისა და ამოცანების მიღწევას

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა მოხელეთა საქმიანობის სწორად წარმართვას და უფლებამოსილებების სწორად გადანაწილებას;

ორგანიზაცია საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს მერს, რაშიც ასახულია შედეგების მიმოხილვა. მნიშვნელოვანია, რომ შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორები განსაზღვრული იყოს მკაფიოდ რათა შესაძლებელი გახდეს გაზომვა რამდენად სრულდება ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნები და ამოცანები. ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულია ზოგიერთი ისეთი მიზნები და ფუნქციები, რომელიც რეალურად არ ხორციელდება, ასევე წესდებაში წარმოდგენილია ისეთი საშტატო ერთეულები, რომლებიც რეალურად არ არსებობს.

რისკები:

- ✓ ფუნქციები შესრულების ხარისხი

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, ბუღალტრული აღრიცხვის საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვის ეფექტურობას.

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა ქონების აღრიცხვას და დაცვას დაკარგვისგან?.

გომის თემის სამუსიკო სკოლი-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Nგ63.63223536 განკარგულებით დაუმტკიცდა 2022 წლის შემოსავლების გეგმა: - სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 102 000 ლარი. რის შემდეგაც შემოსავლების ნაწილში განიცადა 4 ცვლილება და საბოლოოდ შეადგინა 4800 ლარი, 17 საშტატო ერთეულზე. საერთო ჯამში ბიუჯეტმა განიცადა 4 შიდა მუხლობრივი ცვლილება ხარჯების ნაწილში საბოლოოდ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20/12/2021 წლის Nგ-63 63223536 განკარგულებით სუბსიდიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 105 600 ლარი. 2022 წლის საკასო შესრულება (ნაზრდი ჯამით) 105600 ლარი. ბიუჯეტის დაგეგმისას მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება, რათა ცვლილებების შეტანით არ მოხდეს სამეურნეო საქმიანობის შეფერხება. გომის თემის სამუსიკო სკოლას გააჩნია სხვადასხვა ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი საგნები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია კომისია ოფისის აღჭურვილობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის ინვენტარიზაციისათვის. ინვენტარიზაცია ჩატარებულია საქართველოს ფინანსთა მინისრტის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ შესაბამისად, რომელზეც არსებობს შესაბამისი აქტები. ორგანიზაციაში განსაზღვრულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. ასევე კანონის სრული დაცვით ხდება ამორტიზებული ნივთების ჩამოწერა.

შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე"-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით 20/12/2021 g 63.63213549 დაუმტკიცდა 2022 წლის შემოსავლების გეგმა 01/12/2022წ. N g 63.63223358 : - სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 80700 ლარი. რის შემდეგაც შემოსავლების ნაწილში განიცადა 1 ცვლილება და საბოლოოდ შეადგინა 83 700 ლარი, 15 საშტატო ერთეულზე. საერთო ჯამში ბიუჯეტმა განიცადა 1 შიდა მუხლობრივი ცვლილება ხარჯების ნაწილში საბოლოოდ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19/12/2022 წლის Ng 63 .632235326 განკარგულებით სუბსიდიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 83 700 ლარი. 2022 წლის საკასო შესრულება (ნაზარდი ჯამით) 3000 ლარი. ბიუჯეტის დაგეგმისას მნიშვნელოვანია რაც შეიძლება სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება რათა ცვლილებების შეტანით არ მოხდეს სამეურნეო საქმიანობის შეფერხება. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე"-ს გააჩნია სხვადასხვა ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი საგნები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია კომისია ოფისის აღჭურვილობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის ინვენტარიზაციისათვის. ინვენტარიზაცია ჩატარებულია საქართველოს ფინანსთა მინისრტის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ შესაბამისად, რომელზეც არსებობს შესაბამისი აქტები. ორგანიზაციაში განსაზღვრულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული ინვენტარიზაცია იწვევს შეუსაბამობას, კერძოდ: ბრძანება N9 ში ინვენტარიზაციის ჩატარების თარიღად არის განსაზღვრული 2022 წლის 16 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი და სპეციალური ოქმი N3 ში ინვენტარიზაციის კომისიის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 29 დეკემბერს.2010 წლის 23 ივლისის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანების -"საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ მე-5 მუხლის მე- 5 პუნქტის თანახმად მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი, ხოლო ზემოთ ხსენებული ინვენტარიზაციის მასალების თანახმად კომისიის თავჯდომარედ და პასუხისმგებელ პირადაც ვლადიმერ ნიკოლეიშვილია მითითებული რაც შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან და იწვევს გაურკვევლობას. ასევე საინვენარიზაციო ოქმი N1 ში სხდომის დაწყების დროდ არის განსაზღვრული 2022 წლის 16 ნოემბერის 14 საათი და დასრულების დრო 14 საათი და 30 წუთი, რაც თანხვედრაში არ მოდის საინვენტარიზაციო ოქმის N2 ში სხდომის დაწყების და დასრულების დროსთან, რომლის თანახმადაც სხდომა დაიწყო 2022 წლის 16 ნომებერს 11 საათზე და დასრულდა 11 საათსა და 30 წუთზე, რაც შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან და იწვევს გაურკვევლობას.

ასევე საინვენტარიზაციო კომისიის ბრძანება N9 ით განსაზღვრული იყო კომისიის 4 წევრი, ხოლო ოქმი N1-ის თანახმად კენჭისყვრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი, რაც შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან და იწვევს გაურკვევლობას.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი"-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Ng 63.632135413 განკარგულებით დაუმტკიცდა 2022 წლის შემოსავლების გეგმა: - სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 108 200 ლარი. რის შემდეგაც შემოსავლების ნაწილში განიცადა 4 ცვლილება და საბოლოოდ შეადგინა 37 800 ლარი, განკარგულება 08/08/2022წ. Ng-63.63220985 ცვლილება 9800 ლარი, განკარგულება 04-07/2022 Ng-

63.632218514 ცვლილება 14500 ლარი, განკარგულება 11/10/2022 Nგ- 63.63222846 ცვლილება 8000 ლარი, განკარგულება 19/12/2022წ. N გ-63.632235317 ცვლილება 5500 ლარი. 30 საშტატო ერთეულზე. საერთო ჯამში ბიუჯეტმა განიცადა 4 შიდა მუხლობრივი ცვლილება ხარჯების ნაწილში საბოლოოდ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19/12/2021 წლის N გ-63 632235317 განკარგულებით სუბსიდიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 224 000 ლარი. 2021 წლის საკასო შესრულება (ნაზრდი ჯამით) 224 000 ლარი. ბიუჯეტის დაგეგმისას მნიშვნელოვანია რაც შეიძლება სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება რათა ცვლილებების შეტანით არ მოხდეს სამეურნეო საქმიანობის შეფერხება. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი"-ს გააჩნია სხვადასხვა ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი საგნები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია კომისია ოფისის აღჭურვილობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის ინვენტარიზაციისათვის. ინვენტარიზაცია ჩატარებულია საქართველოს ფინანსთა მინისრტის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" შესაბამისად, რომელზეც არსებობს შესაბამისი აქტები. ორგანიზაციაში განსაზღვრულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. ასევე კანონის სრული დაცვით ხდება ამორტიზებული ნივთების ჩამოწერა.

რისკები:

- ✓ წლიური ხარჯთაღრიცხვის არასწორად დაგეგმვამ და არათანაბრად ხარჯვამ შესაძლოა გამოიწვიოს დაწესებულების პროცესებისა და საქმიანობის შეფერხება, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს კლუბის მიზნების მისაღწევად.
- ✓ ფუნქციები სრულდება დაბალი ხარისხითა და კულტურით;
- ✓ მონაცემთა ანალიზი არასწორი, არასანდო და არასაკმარისია;

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა შესყიდვების დასაგეგმად დასაბუთებული, სანდო, საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას სწორი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

არსებული კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფენ თუ არა

სატენდერო პროცედურების წარმართვის, შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ზედამხედველობის გამჭირვალობას.

ა.(ა).ი.პ. "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა" ორგანიზაციის დირექტორს E-plan მოდულში აქვს საკუთარი პროფილი, ორგანიზაციის დირექტორი ახორციელებს შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებს და მის მიერვე ხდება გეგმის რეგისტრაცია. მომდევნო წლის შესყიდვების გეგმა რეგისტრირდება არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. ძირითადად ხორციელდება გამარტივებული შესყიდვა სულ 2022 წელს განხორციელდა 12 შესყიდვა. აღსანიშნავია რომ კონკრეტული შესყიდვა ხდება ზეპირი საფუძვლით და მას წინ არ უძღვის შესაბამისი საჭიროების დოკუმენტური დასაბუთება. ასევე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა 2022 წელს განხორციელებული შესყიდვები. ხელშეკრულებები შედგენილია იმგვარად რომ შესყიდული საქონლის მოწოდების ვადა განსაზღვრულია შემდეგი ჩანაწერით: მოთხოვნიდან 10 დღე, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოცემულია პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02 %. იქიდან გამომდინარე რომ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული მოწოდების კონკრეტული დრო (ასევე არ არსებობს რაიმე წერილობითი ფორმა მოთხოვნა როდის განხორციელდა) ვერ დგინდება რამდენად დროულად შეასრულა მომწოდებელმა ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში შესასყიდი საქონელი/მომსახურება ზოგადი სახით არის წარმოდგენილი და მიღება - ჩაბარების აქტით ირკვევა თუ კონკრეტულად რა საქონელი/მომსახურება არის შეძენილი .ასევე არ არის საქონლის ტექნიკური პარამეტრები მითითებული (ფასი). ასევე სატენდერო დოკუმენტაციით სამუშაო ვადა იყო 5 წელი ხოლო ხელშეკრულებაში მითითებილია 3 წელი. ასევე სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას და მიღება ჩაბარებას ანხორციელებს ინსპექტირების ჯგუფი და ხელშეკრულებაზე ხელი აქვს მოწერილი მხოლოდ დირექტორს. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საქონლის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია წესდებით და შინაგანაწესით, ყოველი კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში.
მიღბა-ჩაბარების აქტი მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

შპს სამტრედიის „მაცნე“-ს ორგანიზაციის დირექტორს E-plan მოდულში აქვს საკუთარი პროფილი, ორგანიზაციის დირექტორი ახორციელებს შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებს და მის მიერვე ხდება გეგმის რეგისტრაცია. მომდევნო წლის შესყიდვების გეგმა რეგისტრირდება არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. ძირითადად ხორციელდება გამარტივებული შესყიდვა, სულ 2022 წელს განხორციელდა 19 შესყიდვა. აღსანიშნავია რომ შესყიდვა ხდება შესაბამისი საჭიროების დოკუმენტური დასაბუთება. ასევე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა 2022 წელს განხორციელებული შესყიდვები. ხელშეკრულებების დადების დროს ყურადღება გამახვილდეს ხელშეკრულების დადების თარიღსა და ელექტრონული ხელმოწერის თარიღზე. შესყიდვის ხელშეკრულებაში და მიღება ჩაბარების აქტში მიმწოდებელი უნდა იყოს ერთი და იგივე პიროვნება და ორგანიზაცია. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საქონლის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია წესდებით და შინაგანაწესით, ყოველი კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში. მიღება-ჩაბარების აქტი მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ს ორგანიზაციის დირექტორს E-plan მოდულში აქვს საკუთარი პროფილი, ორგანიზაციის დირექტორი ახორციელებს შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებს და მის მიერვე ხდება გეგმის რეგისტრაცია. მომდევნო წლის შესყიდვების გეგმა რეგისტრირდება არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. ძირითადად

ხორციელდება გამარტივებული შესყიდვა სულ 2022 წელს განხორციელდა 15 შესყიდვა. აღსანიშნავია რომ კონკრეტული შესყიდვა ხდება ზეპირი საფუძვლით და მას წინ არ უძღვის შესაბამისი საჭიროების დოკუმენტური დასაბუთება. ასევე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა 2022 წელს განხორციელებული შესყიდვები. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საქონლის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია წესდებით და შინაგანაწესით, ყოველი კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში.
მიღება-ჩაბარების აქტი მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

რისკები:

- ✓ მარეგულირებელი წესების/ინსტრუქციების დარღვევა;
- ✓ მუნიციპალური ფინანსების შესაძლო დანაკარგი;
- ✓ გამჭვირვალობას და კორუფციის/თაღლითობის შემთხვევის გამორიცხვა;

რეკომენდაციები:

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ში რეკომენდაციები

- ❖ **მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოღებულ იქნას ის კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც რეალურად არასდროს განხორციელებულა და არ წარმოადგენს ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებს.**
- ❖ **განხორციელდეს ორგანიზაციის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა რითიც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა.**
- ❖ **ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება.**
- ❖ **შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი შესასყიდი საქონელი/მომსახურება.**
- ❖ **ინვენტარიზაციის აქტებში არის შეუსაბამობა და საჭიროებს დახვეწას.**

რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა				
		აუდიტორული შემოწმება №1		
რეკომენდაციის №	**რეკომენდაცია**	**დაგეგმილი მოქმედებები რეკომენდაციების შესასრულებლად**	**შესრულების ვადა**	**პასუხისმგებელი პირი**

1	❖ მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოეკლოს კონკრეტული ფუნქციები რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციებს .	წესდების სრულად დახვეწა .(ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულია ზოგიერთი ისეთი მიზნები და ფუნქციები, რომელიც რეალურად არ ხორციელდება და არ ექვემდებარებას შ.პ.ს. სამტრედიის მაცნეს" საქმიანობას)	01/12/2024წელი	შალვა არზუმანიანი,ლელა ნიკურაძე
2	❖ ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება.	ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდეს ზუსტი ინფორმაციით.	30/12/2023წელი	შალვა არზუმანიანი,ლელა ნიკურაძე
3	შესყიდვების დროს ყურადღება გამახვილდეს ხელმოწერებზე და მიღება-ჩაბარების აქტებზე.	ხელშეკრულებების დადების დროს ყურადღება გამახვილდეს ხელშეკრულების დადების თარიღსა და ელექტრონული ხელმოწერის თარიღიზე. შესყიდვის ხელშეკრულებაში და მიღება ჩაბარების აქტში მიმწოდებელი უნდა იყოს ერთი და იგივე პიროვნება და ორგანიზაცია.	უახლოესი შესყიდვის დრო	შალვა არზუმანიანი,ლელა ნიკურაძე

4	❖ **განხორციელდეს ორგანიზაციის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა რითიც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა.**	არ არის განსაზღვრული გაზეთის რეალიზაციის გეგმა და მიაწოდება საზოგადოებასთან.(გაზეთი მიეწოდება შიდა სტუქტურებს და მისი რეალიზება და პოპულარიზება არ ხდება საზოგადოებაში,კერძოდ არ ხდება რეალიზება საგაზეთო ჯიხურებში).	30/12/2023წელი	**შალვა არზუმანიანი,ლელა ნიკურაძე**
5	**ინვენტარიზაციის აქტებში არის შეუსაბამობა და საჭიროებს დახვეწას.**	ინვენტარიზაციმ რომ არ გამოიწვიოს შეუსაბამობა, დაზუსტდეს ინვენტარიზაციის ჩატარების თარიღი, ასევე კომისიის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს სხვადასხვა.ოქმებში ყურადღება გამახვილდეს სხდომის დაწყების და დასრულების დროსთან რაც შეუსაბამობაში არ მოვიდეს ერთმანეთთან .საინვენტარიზაციო კომისიას და ხელმომწერთა რაოდენობა დაზუსტდეს და რამაც არ გამოიწვიოს შეუსაბამობა.	01/12/2024წელი	**შალვა არზუმანიანი,ლელა ნიკურაძე**

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“-ში
რეკომენდაციები

- ორგანიზაციის წესდებაში წარმოდგენილია ისეთი საშტატო ერთეულები, რომლებიც რეალურად არ არსებობს.

- ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება. ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდეს ზუსტი ინფორმაციით.

- კონკრეტული შესყიდვას წინ უსწრებდეს შესაბამისი დოკუმენტირებული საჭიროების დასაბუთება.კონკრეტული შესყიდვის ერთვოდეს მოხსენებითი ბარათი დასაბუთებული საჭიროებით.
- არ არის მითითებული დაფინანსების წყარო ხელშეკრულებაში.
- ხელშეკრულებების დადების თარიღი და ელექტრონული ხელმოწერის თარიღი არ ემთხვევა ერთმანეთს.

რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა				
		აუდიტორული შემოწმება №1		
რეკომენდაციის №	**რეკომენდაცია**	**დაგეგმილი მოქმედებები რეკომენდაციების შესასრულებლად**	**შესრულების ვადა**	**პასუხისმგებელი პირი**
1	❖ **მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოეკლოს კონკრეტული ფუნქციები რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციებს .**	წესდების სრულად დახვეწა,მათ შორის ზოგიერთი ისეთი პოზიციები რომლებიც არ არსებობს.(კერძოდ შინაგანაწესში მითითებილია სპეციალისტი შესყიდვების და ინვენტარიზაციის საკითხებში,რაც არ არის მითითებული საშტატო განრიგში).	31/12/2023წელი	**ვეფხია სტურუა,სოფიკო სულავა**
2	❖ **ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება.**	ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდეს ზუსტი ინფორმაციით.	31/12/2023წელი	**ვეფხია სტურუა,სოფიკო სულავა**

3	❖ **კონკრეტული შესყიდვას წინ უსწრებდეს შესაბამისი დოკუმენტირებული საჭიროების დასაბუთება.**	კონკრეტულ შესყიდვას ერთვოდეს მაგ. მოხსენებითი ბარათი დასაბუთებული საჭიროებით.	უახლოესი შესყიდვის დრო	**ვეფხია სტურუა,სოფიკო სულავა**
4	❖ **შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი დაფინანსების წყარო.**	შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს განსაზღვრული დაფინანსების წყარო(საიდან ფინანსდება შესყიდვა,ადგილობრივი ბიუჯეტი,საკუთარი შემოსავლები,გრანტი და ა.შ)	უახლოესი შესყიდვის დრო	**ვეფხია სტურუა,სოფიკო სულავა**
5	❖ **შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი შესყიდვის თარიღი.**	ხელშეკრულებების დადების დროს ყურადღება გამახვილდეს ხელშეკრულების დადების თარიღსა და ელექტრონული ხელმოწერის თარიღიზე.	უახლოესი შესყიდვის დრო	**ვეფხია სტურუა,სოფიკო სულავა**

ა.(ა).ი.პ. "სმტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა" ში რეკომენდაციები

- ❖ მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოღებულ იქნას კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციებს.
- ❖ განხორციელდეს ორგანიზაციის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა, რითიც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა.
- ❖ ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება.
- ❖ კონკრეტულ შესყიდვას წინ უსწრებდეს შესაბამისი დოკუმენტირებული საჭიროების დასაბუთება.
- ❖ შესყიდვის ხელშკრულებებში მოხდეს საქონლის/მომსახურების მოწოდების პირობების იმგვარი დაზუსტება რომ შესაძლებელი იყოს მომწოდებლის მიერ

მოწოდების პირობების დარღვევის/არ დარღვევის დადგენა და შესაბამის ხელშეკრულებაში არსებული საჯარიმო სანქციების გამოყენების/არ გამოყენების საჭიროება.

- შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი შესასყიდი საქონელი/მომსახურება.

რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა				
		აუდიტორული შემოწმება №1		
რეკომენდაციის №	**რეკომენდაცია**	**დაგეგმილი მოქმედებები რეკომენდაციების შესასრულებლად**	**შესრულების ვადა**	**პასუხისმგებელი პირი**
1	❖ მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოეკლოს კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციებს.	წესდების სრულად დახვეწა მათ შორის (მიზნები და ამოცანები რომლებიც არ არის რელავანტური) წესდების მუხლი 5 და ზოგიერთი ისეთი პოზიციები რომლებიც არ არსებობს.	31/12/2023 წელი	ქეთევან მეფარიშვილი
2	❖ განხორციელდეს ორგანიზაციის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა, რითიც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა.	მომავალი წლის პროგრამაში ინდიკატორები იყოს გაზომვადი.	31/12/2023 წელი	ქეთევან მეფარიშვილი
3	❖ ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს	ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდეს ზუსტი ინფორმაციით.	31/12/2023 წელი	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე

	ხარჯების განაწილება.			
4	კონკრეტულ შესყიდვას წინ უსწრებდეს შესაბამისი დოკუმენტირებული საჭიროების დასაბუთება.	კონკრეტული შესყიდვის ერთვოდეს მაგ. მოხსენებითი ბარათი დასაბუთებული საჭიროებით.	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე
5	❖ შესყიდვის დროს ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყოს მიწოდების ვადა.	ხელშეკრულებებში განსაზღვრული იყოს მოწოდების კონკრეტული დრო რათა დადგინდეს რამდენად დროულად შეასრულა მომწოდებელმა ვალდებულებები.	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე
6	❖ შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი შესასყიდი საქონელი/მომსახურება.	ხელშეკრულებაში მაქსიმალურად დაკონკრეტდეს შესასყიდი საქონელი/მომსახურების დასახელებები და პარამეტრები.	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე
7	❖ შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი დაფინანსების წყარო.	შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს განსაზღვრული დაფინანსების წყარო(საიდან ფინანსდება შესყიდვა,ადგილობრივი ბიუჯეტი,საკუთარი შემოსავლები,გრანტი და ა.შ.)	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე
8	❖ შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს აღწერილი საქონლის პარამეტრები.	განსაზღვრული იყოს შესასყიდი საქონლის პარამეტრები (ფასი).	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე
9	❖ შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად	ხელშეკრულებების დადების დროს ყურადღება გამახვილდეს	უახლოესი შესყიდვის დრო	ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე

	იყოს აღწერილი შესყიდვის თარიღი.	ხელშეკრულების დადების თარიღსა და ელექტრონული ხელმოწერის თარიღიზე.		
10	❖ **შესყიდვის ხელშეკრულებებში კონკრეტულად იყოს სამუშაო საგარანტიო ვადა მითითებული.**	სატენდერო დოკუმენტაციით სამუშაოს საგარანტიო ვადა არის განსაზღვრული 5 წელი ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებული იქნას აღნიშნული.	უახლოესი შესყიდვის დრო	**ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე**
11	❖ **შესყიდვის ხელშკრულებებში მოხდეს საქონლის/მომსახურების მოწოდების პირობების იმგვარი დაზუსტება რომ შესაძლებელი იყოს მომწოდებლის მიერ მოწოდების პირობების დარღვევის/არ დარვევის დადგენა და შესაბამის ხელშეკრულებაში არსებული საჯარიმო სანქციების გამოყენების/არ გამოყენების საჭიროება.**	ან ხელშეკრულებაში მიწოდების ვადად განისაზღვროს კონკრეტული დრო ან განხორციელდეს მოთხოვნის წერილობითი დოკუმენტირება, რომელიც აიტვირთოს ხელშეკრულებასთან, სასაქონლო ზედნადებთან და მიღება ჩაბარების აქტთან ერთად შესყიდვების სისტემაში.	უახლოესი შესყიდვის დრო	**ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე**
12	**შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ხელი მოწერილი იქნას ხელშეკრულებაშ**	სანტენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი იქნას ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მხარეების მიერ.	უახლოესი შესყიდვის დრო	**ქეთევან მეფარიშვილი, იზო ზარნაძე**

	გათვალისწინებული მხარეების მიერ.			

წლის განმავლობაში სამსახური ახდენდა მერიის ცალკეული დავალებებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ მომართვის საფუძველზე, წერილობითი პასუხების გაცემას და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ჩატარებულ აუდიტზე, სამოქმედო გეგმებსა თუ გაწეულ რეკომენდაციებზე.

სამსახურის მიერ შესრულდა ასევე დამატებითი სამუშაო კერძოდ:

მერის დავალების საფუძველზე დახმარება გაგვეწია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე არსებული ინფორმაციის მოძიება/დაკაბადონებაზე. მოვახდინეთ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან არსებული მდგომარეობის იდენტიფიკაცია, ინფრომაციის მოძიება თითოეულ რეკომენდაციაზე, ინფორმაციის დაკაბადონება და აღნიშნული ინფორმაციის გარე მარწმუნებელზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე გადაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში ხდებოდა კონტროლი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ებში მიმდინარე პროცესების, კერძოდ; საწვრთნელი მეცადინეობების, თანამშრომლების აღრიცხვისა და ამავდროულად კომპეტენციების განაწილების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოს შემოწმება, რაზეც შედგენილია შესაბამისი ოქმები და ახსნა-განმარტებები. ამჟამად მიმდინარეობს ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სპორტული სკოლის შემოწმება, რომელიც დასრულდება 2024 წლის თებერვალში და შედგება ინსპექტირების დასკვნა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წელს მოეწყო და ამოქმედდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების, საათობრივი აღრიცხვის ელექტრონული ტაბელი (ტურნიკეტი), რომლსაც ზედამხედველობას უწევს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილება. ამავე განყოფილების თანამშრომლების მიერ ყოველი თვის ბოლოს აღნიშნული მოწყობიდან ხდება მონაცემების ამოღება, დამუშავება და მიწოდება შესაბამის სამსახურებთან.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები

სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფინანსთა სამინისტროს ჰარმონისაზაციის ცენტრის მიერ მოხდა სხვადასხვა ტრეინინგების ორგანიზება, სადაც ჩართული იყვნენ სამსახურის თანამშრომლები სულ 2023 წლის განმავლობაში სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ 3 ტრეინინგ/სწავლებაში

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: **პაატა ხარებავა**